საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000027029833617

№11996

15 / ნოემბერი / 2017 წ.

GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ნერილის რეგისტრაციის № 286
თარიღი: 16 11 2017 წ.

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
დირექტორს პაატა გაფრინდაშვილს

მის.: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N 27

ბატონო პაატა,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტაციაში შემოსული თქვენი 2017 წლის 7 ნოემბრის N378 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/21050, 09.11.17) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 30 აპრილის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მე-9 მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხდება დაბადებით და ნატურალიზაციით, ნატურალიზაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით, რომლის სახეებია; საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით, გამარტივებული წესით, საგამონაკლისო წესით და აღდგენის წესით მინიჭება.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად: საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა... საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა...ხოლო კანონის მე-17 მუხლის თანახმად: საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.“ ხოლო საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვის წესი განისაზღვრება "საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის №237 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ამ დებულების მე-19 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად; საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვისას მოქალაქეობის მოპოვების მსურველი პირის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობას, საამისოდ მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს - საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა კომისია ადგენს შინაგანი რწმენის საფუძველზე. კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: სრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში; ბ) დადგენილ ფარგლებში იცის

საქართველოს სახელმწიფო ენა; გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები; დ) საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

ამავე კანონის მე-14 მუხლის თანახმად: საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს, რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი და გამარტივებული წესით მინიჭების შემთხვევაში, "საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის N237 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად; სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ (საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გარდა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ამ პირის სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

ეკატერინე ჭითაშვილი